ცნობის ფურცელი

№ 2373 ხუთშაბათი, 8 იანვარი **1896—1904** ყოველ-დღიური გამოცემა **№ 2373**

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გან. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе"**. ტელეფონი № 372.

კნ. სოფიო ეგორის ასული, კნ. მელანია ივანეს ასული და თავადი ილია გიორგის ძე ციციშვილები გულითადის მწუხარებით აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—ქმრისა, მეორე—მამათილისა და მესამე—მამისას

თავადის გიორგი სვიმონის ძის ციციშვილისას.

დასაფლავება იქნება ზემო-ნიჩბისში (გორის მაზრა) 10 იანვარს, დილის 10 საათზე.

(1—3—1)

წარმ. 37. **ქართული თეატრი** აბონემენტი № 12

ხუთშაბათს, 8 იანვარს 1904 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

◆ ვ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით ◆

დამნაშავის ოჯახი

დრამა 5 მოქმ. თარგმ. ჯაჯანაშვილისა.

კორრადოს როლს შეასრულებს ალექსი-მესხიშვილი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად **ნ. ჩხეიძის საბენეფისოდ** „მუშაკი და ნებიერი".

რეჟისორი **აკაკი**.

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ხუთშაბათს, 8 იანვარს, 1904 წ., წარმოდგენილი იქნება

ბოშების ბარონი

ოპერეტტა 3 მოქ. შტრაუსისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ჩიჟოვა, კარტავინა, სელიუკ, ლელინა; ბ-ნნი რაისკი, სელიავინი, შმაკოვი, თულაევი, ფედოროვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 9 იან.—„ფაუსტი"; 10 იან.—ამირჯანის ბენეფ. „აფრიკელი ქალი". (6.)

ნამდვილი თეთრი ცელულიარული აბრეშუმის გრენა

ბაღდადის ჯიშისა, თითო კოლოფში ექვს-ექვსი მისხალი

ძმ. პასხალიდის.

ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიაში **ა. ქ. ზახარიაძისი**

ადრესი: დვორცოვი ქუჩა, სარაჯევის სახლი, სადგომის № 6. (10—9)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბე ,ბიოსამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ბრ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათს 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (0—6.—29)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა, № 31. იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე: დილის 9—1 ს., ნაშუადღევს 2—4-მდე. კვირაობით 10—6-მდე.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

შორეულ-აღმოსავლეთის საქმე

„რეიტერის სააგენტო" იუწყება: „2 იანვარი. რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორმა ზამთრის სასახლეში ახალ წელიწადს დღეს დიპლომატიურ კორპუსის მიღების დროს სთქვა: მთელ ჩემ გავლენას მოვიხმარებ, რომ შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობა არ დაირღვესო".

იგივე სააგენტო იუწყება: „2 იანვარი. შეერთებული შტატები და სხვა სახელმწიფოები ხელ-შეკრულობის ძალით გახსნილ მუკდენსა, ანდუნსა და დადუნგოუში კონსულებს დაჰნიშნვენ. ეს კონსულები ამ ადგილებში წესიერებას აღადგენენ, ღია-კარების პოლიტიკას ბეჯითად დაიცავენ, ბეჯითად ეცდებიან აგრეთვე, რომ ჩინეთი დამოუკიდებელი დარჩეს და მანჯურიის პროვინციას ჩინეთის ადმინისტრაცია განაგებდეს".

„სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტო"-ს ატყობინებენ პეკინიდან: ჩინელებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ ცნობამ, რომ ამერიკა მუკდენსა და ანდუნში თავის კონსულებს ჰგზავნისო.

ფრანგული გაზეთი „ტან"-ი სწერს: ამერიკისა და იაპონიის სავაჭრო ხელ-შეკრულობის დამტკიცებასა და მანჯურიის სამის ნავთსადგურის გახსნას საერთაშორისო ვაჭრობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შორეულ-აღმოსავლეთის საქმეში. იაპონიის დიპლომატიამ დიდად გაიმარჯვა. გაზეთი იმ აზრისაა, რომ ეხლა ამერიკაც ძალა-უნებურად უნდა გაერიოს შორეულ-აღმოსავლეთის საქმეშიო. დეპეშამ გვაცნობა კიდევაც, პრეზიდენტმა რუზველტმა მუკდენსა და ანდუნში კონსულები დანიშნაო.

„სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტო"-ს დეპეშით ატყობინებენ ბერლინიდან: „31 დეკემბერი. მანჩესტერში წარმოთქმულმა ბალფურის სიტყვამ აქ ყველანი დააფიქრა. ეტყობა, ბალფურს ომი შესაძლებლად მიაჩნია. „ბერლინერ ტაგებლატ"-ი შეჰნიშნავს: ბალფური ერთს სახელმწიფოს დაემუქრა და გააგებინა, ინგლისი თავის მოვალეობას რიგზე შეასრულებს და თავის მოკავშირე იაპონიას დახმარებას გაუწევსო. „ფოსიშე ცაიტუნგ"-ი ამბობს: ეტყობა, ბალფურს აღარ აქვს იმედი, რომ შორეულ-აღმოსავლეთის საქმე მშვიდობიანად გადასწყდესო".

„ყვითელი საფრთხე"

ზოგიერთი რუსული გაზეთი ამტკიცებს, შორეულ-აღმოსავლეთში ამ ჟამად თეთრი მოდგმა ყვითელ მოდგმას ებრძვისო. რუსეთი ქრისტიანობასა, ევროპიულ კულტურას იცავს ყვითელ მოდგმისაგანაო. ამიტომ ყველა თეთრის მოდგმის ერი, ევროპიელია, თუ ამერიკელი, რუსეთს უნდა თანაუგრძნობდეს და არა იაპონიასაო. იაპონიამ თუ გაიმარჯვა, მთელ ჩინეთსა და კორეიაში გაბატონდება, ყვითელ მოდგმის ერებს ყველას შეაერთებს და რუსებსაცა და ევროპიელებსაც ყველას სულ ერთიანად გამოსდევნის აზიიდან, ბოლოს თვით ევროპასაც შემოესევა, თეთრ მოდგმას გაანადგურებს და ევროპიულ კულტურასა, განათლებას, ქრისტიანობას მთლად შემუსრავს. ამიტომ ევროპის ერებმა ყოველი უთანხმოება უნდა დაივიწყონ, ერთმანეთს პირი მისცენ და ამ საშინელ „ყვითელ საფრთხეს" შეებრძოლონო...

ამ აზრს, სხვათა შორის, გამოჩენილი მეცნიერი განსვენებული სოლოვიევიც ადგა. ზოგიერთი ევროპიელიც ეთანხმება ამ აზრს. თითონ გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმ მე-II-ც ამ რამდენისამე წლის წინად ევროპის გასაფრთხილებლად სურათი დახატა და ქვეშ წააწერა: „ევროპის ერნო, თქვენი კულტურა დაიცავით ყვითელ საფრთხისაგანაო!" 1900 წლის ომმა ჩინეთში თვალ-ნათლად დაანახვა მთელს ქვეყნიერობას, თუ ვინ უფრო საშიშია კაცობრიობისათვის, ყვითელი მოდგმა თუ ევროპის ზოგიერთი სახელმწიფო, მაგრამ ზოგი თეთრის მოდგმის ჟურნალისტი დღესაც არ იშლის და მალ-მალ ამ „ყვითელ საფრთხით" აშინებს ევროპას.

ამ ხანზე ინგლისურ გაზ. „ნორდ შინა ჰეროლდ"-ში ერთ „გერმანელის" საინტერესო წერილი დაუბეჭდია. ავტორი სწერს: იაპონიას სწადიან აღმოსავლეთ აზიაში ფეხი მოიკიდოს და აზიელ ერებს შეთავერად გაუხდეს. რუსეთიც მაგრად უხვდება და შეძენილ ადგილებზე ხელის აღებას არ აპირებს. ცხადია ამაზე ორსავე სახელმწიფოს ბრძოლა აუტყდებათ. მაგრამ სიტყვა ისაა, სხვა ერები ვის თანაუგრძნობენ, რუსეთს თუ იაპონიას? იაპონიამ რომ გაიმარჯვოს, გერმანიასა და ინგლისს ხეირი ექნებათ? — არაფერი ხეირიც არ ექნებათ. თუ იაპონია აღმოსავლეთში გაბატონდა, თავდაპირველად იმას ეცდება, რომ ევროპიელები ჩინეთიდან განდევნოს; ჩინეთის ბაზრებს ახლო აღარავის მიაკარებს. რუსეთის გამარჯვებას რაღა მოჰყვება? ჩინეთი დამოუკიდებლობას აღარ დაჰკარგავს და ჩინეთის ბაზრები ყველასთვის ღია იქნება. მართალია რუსეთს ეხლა მეტად უცნაური წეს-წყობილება აქვს, მაგრამ მჯერა, ეს წყობილება მალე შეიცვლება, რუსეთი უფრო კულტურულ და ლიბერალურ სახელმწიფოდ გახდება და უცხოელებს ჩინეთში აღარ შეავიწროებს. იაპონელები კი სულ სხვანაირად მოიქცევიან. არავის არ შეავიწროებენ, მაგრამ ნამდვილად, საქმით კი აღარავის არ ავაჭრებენ ჩინეთში. იაპონელები თითონაც აღმოსავლეთის ხალხი არიან, ამიტომ იქაურ ერების ხასიათი ევროპიელებზე კარგად აქვთ შესწავლილი. იაპონია ხელად გააღვიძებს ჩინეთს და მერე ვინ იცის, რა მოხდება. არავის არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ აზიაში ჩვენ, ევროპიელები, ყველასა ვსძულვართ...

ასე რომ „გერმანელი" რუსეთის გამარჯვებას არჩევს იაპონიის გამარჯვებას.

თითონ „ნ. შინა ჰერალდ"-ის რედაქციაც არ დაეთანხმა „გერმანელის" აზრსა და პასუხად შემდეგი დაუწერა: „გერმანელი" გვირჩევს, თუ ომი მოხდა, ინგლისმა და ამერიკამ რუსეთს დაუჭირონ მხარიო. სწორედ საკვირველ რჩევას იძლევა პატივცემული ავტორი. პირიქით, იაპონია არაფრით არ შეავიწროვებს ევროპიელების ეკონომიურ ინტერესებს, რუსეთი კი მაშინვე ისეთ ბაჟებს დააწესებს, რომ მშვიდობით უცხოელების ვაჭრობავ! სად რუსეთის სავაჭრო პოლიტიკა და სატამოჟნო წესები და სად იაპონიისა! იაპონელებს ევროპიელები სძულთო. ეს ტყუილი აზრია. იაპონელები დარწმუნებულნი არიან, რომ ევროპიელებს აღარაფერში არ ჩამოუვარდებიან, ამიტომ ევროპიელებს ისე ექცევიან, როგორც თავიანთ ტოლს, თანასწორ ხალხსა და იმათი არაფერი არა შურთ. ინგლის-იაპონიის კავშირმა იაპონია განათლებულ სახელმწიფოდ აღიარა. ამ კავშირის შემდეგ ხომ იაპონელები უფრო კარგის თვალით უცქერიან ევროპიელებს და ამერიკელებს.

ჩინელებიც განათლებისა და და განვითარების გზას დაადგნენ და იქმნება სხვა ერებზე მალე მიეწივნენ ევროპიელებს. ძველი ჩინეთი მალე მოკვდება და იმის ნაცვლად ახალი, განათლებული, თავისუფალი, ძლიერი ჩინეთი დაარსდება. ასე რომ არც ჩინეთია საშიში ევროპიელებისათვის.

რედაქციის გარდა, „გერმანელს" კიდევ ერთმა „ანგლო-საქსმა" უპასუხა. „ანგლო-საქსი" სწერს: „სრული ორასი წელიწადია რუსეთი ევროპის განათლებას ითვისებს, მაგრამ დღესაც ისევ ის წეს-წყობილება აქვს, რაც უწინ ჰქონდა, იქ დღესაც აბსოლიუტური განუსაზღვრელი მონარქია. რუსეთში ადამიანის სულისა და გონების თავისუფალი განვითარება დღესაც შეზღუდული და შევიწროებულია. იქაურ განათლებასა და აღზრდასაც საფუძვლად ეს შეზღუდვა უდევს. ჩინეთშიაც კი უფრო თავისუფალი წესებია. [illegible] „ცის ქვეშეთის იმპერიაშიაც" კი არ ჰსუფევს ისეთი გონებრივი ბარბაროსობა, და ისეთი სასტიკი ცენზურა, როგორიც რუსეთშია. ჩინეთის ნიჭიერი ერი სწრაფად ეწაფება კულტურას და იქმნება იაპონიასავით მალე ევროპიული წესებიც დაიწესოს.

ნახევარი საუკუნეა, რაც იაპონიამ ევროპის კულტურა გაიცნო, მაგრამ ამ მოკლე ხანში ევროპიული წესები დააწესა, ევროპის სახელმწიფოების მაგალითით კონსტიტუციონური მმართველობა შემოიღო, სწავლა-განათლება კარგ საფუძველზე დაამყარა და თავის უნივერსიტეტებსა და ყველა სკოლაში გამოკვლევისა და აზროვნების სრული თავისუფლება აღიარა. ამიტომ იაპონიის გამარჯვება ევროპისათვის საშიში-კი არა, გასახარო უნდა იყოს. თუ იაპონიამ გაიმარჯვა, ევროპის ვაჭრობასა და კულტურას არაფერი ზარალიც არ მიეცემა...

ახალი ამბავი

◆ როგორც „კავკაზი"-ს ოფიციალურ ნაწილშია გამოცხადებული, კავკასიის გრე-

ერთა დივიზიის უფროსი გენერალ-ადიუტანტი, გენერალ-ლეიტენანტი **მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის ძე** დათხოვნილ იქნა ხსენებულ თანამდებობიდან.

◆ როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ქალაქის მოურავმა ამას წინად გამოუცხადა ხმ. ნ. ი. თამამშევს, რომ **გაზეთის წარმომადგენლებს** ნებას ვერ მივცემ ესწრებოდნენ ქალაქის გამგეობის სხდომებსაო. ხმ. თამამშევმა საბჭოში წარსადგენად გამგეობას გადასცა საჩივარი. ქალაქის მოურავის წინადადებით ნ. ი. თამამშევის საჩივარი გამგეობამ განიხილა და იგივე აზრი გამოსთქვა, რაც ქალაქის მოურავმა. სხვათა შორის, გამგეობის აზრით, სხდომაზე გაზეთების თანამშრომელთა დასწრება ყოველთვის არ [illegible] სასურველი და სასარგებლო, რადგან [illegible]კალი ისეთი საქმეა, რის გამოქვეყნებაც [illegible]ამდე არ შეიძლება. შესაძლებელია გამოქვეყნებით დიდი ზარალი მოუვიდეს ქალაქს. თუ გამგეობამ ნება მისცა გაზეთების თანამშრომელთ სხდომაზე დასწრებისა, მაშინ ასეთივე ნება უნდა მიეცეს ყველა გარეშე პირსაო. გარდა ამისა გამგეობამ აღნიშნა, რომ ნ. ი. თამამშევს უნდა განესაჩივრებინა ქალაქის მოურავის განკარგულება როგორც მწერლობის წარმომადგენელს და არა როგორც ხმოსანს, რადგან იმისი უფლებანი, როგორც ხმოსნისა, მოურავს არ დაურღვევიაო. დასასრულ გამგეობამ დაადგინა, წარუდგინოს საბჭოს განსახილველად საჩივარი ნ. ი თამამშევისა გამგეობის მოსაზრებასთან ერთად.

გუშინ, 7 იანვარს, ტფილისის ქალაქის მოურავმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, საბჭოს მდივნებს, და ქალაქის გამგეობის ოთხსავე განყოფილების საქმის მწარმოებლებს, რომ **გაზეთების თანამშრომლებს** თვითმმართველობიდან ცნობები ეძლეოდეთ: გამგეობის მდივნისა და საბჭოს კანცელარიიდან დილის 10-დან ნაშუადღევის 1 საათამდე, ხოლო გამგეობის განყოფილებიდან—ნაშუადღევის 1-დან 3 საათამდე.

◆ ტფილისის ქალაქის მოურავმა გამგეობას მოხსენება წარუდგინა **მესამე საობლიგაციო სესხის** ობლიგაციების განაღდების შესახებ. მოურავი სწერს, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში თვითმმართველობამ უნდა განახორციელოს საბჭოს დადგენილებანი ქალაქის წყლის მილის გაუმჯობესების და საყასბოს ახალ შენობის აგების შესახებ. ამაების განხორციელება შესაძლებელი იქნება მაშინ, თუ განაღდდა ობლიგაციები. ქალაქის მოურავს საჭიროდ მიაჩნია იმ 100,000 მანეთით, რომელიც გადადებულია ტფილისში უნივერსიტეტის დასაარსებლად, შეძენილ იქმნას მესამე სესხის ობლიგაციები. მოურავმა გამგეობას ისიც აცნობა, რომ ტფილისის საურთიერთო დამზღვევმა საზოგადოებამ სურვილი განაცხადა შეიძინოს 100,000 მანეთის ობლიგაციებიო. ქალაქის გამგეობამ დაადგინა: წარუდგინოს ქალაქის საბჭოს მოხსენება მოურავისა საუნივერსიტეტო თანხით ობლიგაციების შეძენის შესახებ და დანიშნოს გამგეობის სხდომა 16 იანვრისათვის ობლიგაციების განაღდების შესახებ მოსალაპარაკებლად. ამ სხდომაზედ მოწვეულ იქნებიან ტფილისის სახელმწიფო, საკომერციო, სათავად-აზნაურო სააღგილმამულო ბანკების, საურთიერთო კრედიტისა, აზოვის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა და სხვა საკრედიტო დაწესებულების გამგენი.

◆ 12 იანვარს დაიწყებენ **ლექციების კითხვას** ტფილისის საზოგადო განათლების კურსებზე.

◆ 12 იანვარს „ტფილისის კრუჟოკის" სადგომში **„სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების"** სასარგებლოდ გაიმართება საცეკვაო საღამო საკონცერტო განყოფილებითურთ. მონაწილეობას, სხვათ შორის, მიიღებენ ქ-ნნი რენე-რადინა, შატელენ, ბ-ნნი ფიგნერი, ევლახიშვილი და სხვანი. საღამოს დიასახლისად იქნება კნ. დ. რ. ჭავჭავაძე.

◆ **კავკავი.** 28 დეკემბერს კავკავის ქართულ სკოლის სასარგებლოდ გაიმართა ჩვეულებრივი „ქართული საღამო". ახლად აშენებულ დარბაზში აჩვენეს დამსწრეთ ცოცხალი სურათები და ქართულმა ხორომ შეასრულა რამდენიმე სიმღერა. საზოგადოდ, ვერც ერთმა და ვერც მეორემ შთაბეჭდილება ვერ იქონია საზოგადოებაზე. სიმღერისა და სურათების შემდეგ გაიმართა ცეკვაობა.

◆ ტფილისის სამხედრო საკრებულომ წინადადება მისცა ტფილისის მართლმადიდებელთა, სომეხ-გრიგორიანთა, კათოლიკეთა და სხვა სარწმუნოების მღვდლებს, წარუდგინონ გამგეობას ცნობები იმ ახალგაზრდათა შესახებ, რომელნიც დაბადებულნი არიან 1883 წლის 1 ოქტომბრიდან 1884 წლის 1 ოქტომბრამდე. ეს ახალგაზრდები წელს იქმნებიან **გაწვეულნი სამხედრო ბეგრის** მოსახდელად.

◆ უმაღლესმა მთავრობამ გადაუწყვეტია **გადააკეთოს ბათუმის ნავთსადგური.** მუშაობას 1905 წლიდან შეუდგებიან.

◆ როგორც „კავ."-ს ატყობინებენ, ყარსში 5 იანვარს ქუჩაში სამი ბოროტ-განმზრახველი **თავს დასცემია პოლიცმეისტერს** თავ. ხერხეულიძეს. სამჯერ რევოლვერი გაუსროლიათ, მაგრამ თავ. ხერხეულიძეს არც ერთი არ მოჰხვედრია. ერთი ბოროტ-განმზრახველი დაუჭერია და შეუპყრია პოლიციელს. მძიმედ დაუჭრიათ პოლიციელი, რომელიც პოლიცმეისტერს ახლდა.

◆ **სოჩის ქალაქის თვით-მმართველობას** ნება მიეცა სათადარიგო თანხიდან გადასდოს 13,848 მან. 59 კაპ. ქალაქის საავადმყოფოს შენობის ასაგებად.

◆ ტფილისის ქალაქის სასწავლებლების შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების გამგეობამ სთხოვა გუშინ ქალაქის გამგეობას, გაუგზავნოს კომიტეტის ხაზინადარს ი. მ. დოლუხანოვს ის 1000 მან., რომელიც ამა 1904 წელს გამგეობამ შემწეობად დაუნიშნა საზოგადოებას.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა მოწერილობა ადგილობრივ ჯარის უფროსისა იმის შესახებ, რომ ჯარის სადგომი უზრუნველ ჰყოს ანტისანიტარულ მდგომარეობისაგან. ქალაქის გამგეობამ დაადგინა: 1) სთხოვოს სახაზინო მიწის მოიჯარადრეს კოზმოვს, დაუთმოს ქალაქს საიჯარო სახელმწიფო მიწის ერთი ნაწილი, საიდაც გაყვანილ უნდა იქნას ჯარის სადგომიდან უსუფთაობის არხი; 2) დაავალოს სამშენებლო განყოფილებას, შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა ამ არხისა.

◆ კავკასიის საჯერთა ჯარის შტაბმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ ჯარის-კაცთა შორის რამდენიმე კაცი მუცლათი და სხვა გადამდებ სენით გახდა ავადაო. რადგან შესაძლებელია მუცელა გახშირდეს და შტაბსკ-ი არა აქვს თავისუფალი სადგომი ავადმყოფთა დასაწვენად, შტაბმა სთხოვა გამგეობას, დაუთმოს რომელიმე შენობა ბატალიონის 2 როტის დასაყენებლად. გამგეობამ დაადგინა, დაავალოს საავაჭრო სამეურნეო პოლიციის უფროს ზედამხედველს, მოელაპარაკოს აღნიშნულ ჯარის შტაბს, რა საშუალებანია კიდევ საჭირო, რომ ავადმყოფობა არ გაძლიერდეს და ყოველივე ამ საქმის შესახებ დაუყოვნებლივ გამგეობას აცნობოს.

◆ კავკავის ქალაქის მოურავმა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, გაუგზავნოს ერთი ცალი თვითმმართველობის მოხელეთათვის შემუშავებულ საპენსიო კასის წესდებისა.

ტფილისის სააუქციონო ზალას წასულ 1903 წლის განმავლობაში სხვა და სხვა ნივთების გაყიდვით შემოსვლია 40,612 მან. 84 კაპ. აქედან $^0/_0{}^0/_0$ შემოსვლია ქალაქს 2658 მან. [illegible] კაპ.

◆ ქალაქის ქუჩებსა და მოედნებში მაწანწალა ძაღლების დამჭერმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ იგი 15 იანვრამდე შეუდგება მაწანწალა ძაღლების ჭერას პოლიციის მე-6. 5, 4, 3 და 2 განყოფილებაში, პოლიციის მე-4 ნაწილში ძაღლების ჭერას 9 და 10 იანვარს, მესამე ნაწილში 12 და 13' და მე-2 ნაწილში 14 და 15 იანვარს,

—

ამ №-თან ერთად ხელის-მომწერთ ეგზავნებათ სურათებიან დამატების მე-182 №, რომელშიაც მოთავსებულია: „ბერტა", მოთხრობა გიუ-დე-მოპასიანისა, თარგ. თ. ს—სა, ექვსი სურათი გურიის ცხოვრებიდან და ერთი კარიკატურა.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ 4 დეკემბერს სათავად-აზნაურო სკოლის დარბაზში საკვირაო სკოლის მასწავლებლებმა გაუმართეს თავის მოწაფეთ ჩვეულებრივი წლიური დღესასწაული. პირველად ი. ი. ჯაფარიძემ აჩვენა მათ ბუნდოვანი სურათები „Сказка о рыбакѣ и рыбкѣ" და „сказка о спящей царевнѣ"-დან და იმავე დროს უამბო ქართულად ამ ზღაპრების შინაარსი. შემდეგ გაიმართა შობის ხე, რომელსაც ბავშვები დიდის მხიარულებით მიეგებნენ. ამას მოჰყვა ცალკე ვაჟებისა და ცალკე ქალების სიმღერა. მერე გაიმართა ქართულ ლექსების კითხვა. ლექსებს მოჰყვა ჯერ დაირაზე და შემდეგ სამხედრო მუსიკაზე ცეკვა-თამაში. ბოლოს ბავშვებს დაურიგეს კამფეტები, ფორთოხალ-ვაშლები და ზოგსაც ცხვირსახოცები და ტანისამოსი.

შინ და გარედ

54.

ერთი მეგობარი მყავს, მეტად სასტიკი და ულმობელი კრიტიკოსია. სხვისი გაკეთებული არ შეიძლება ოდესმე მოიწონოს. „ჩემი საქმე რომ იყოს, ამას გავაკეთებდი „კაკ ბოგ", (როგორც ღმერთი) ხშირად იტყვის ხოლმე. იქნება იფიქროთ, მისი კრიტიკა უბრალო რამ საქმეს ეხებოდეს? სრულიადაც არა. რაც [illegible], ყველაფერი იცის და ყველაფერზე სჯის. გამოჩენილმა ასტრონომმა ვარსკვლავთა რუკა რომ უჩვენოს,—რუკა, დახატული მათემატიკურის სისწორით, უთუოდ იქაც მოსძებნის შეცდომებს და გასწორებას მოუნდომებს! რაღა საკვირველია, რომ ასეთ სასტიკ კრიტიკოსს ჩვენისთანა უბრალო მომაკვდავისა არაფერი

ფელეტონი

სლავიანთა აღორძინება

პროფ. ნ. ი. კარეევიდან

იმ დროს, როდესაც ინგლისსა, საფრანგეთსა და გერმანიაშიც-კი ვითარდებოდა საკაპიტალისტო წეს-წყობილება, ესე იგი მე-XIX საუკუნის ოცდა-ათიან და ორმოციან წლებში, აღმოსავლეთ ევროპაში მეურნეობა-მეოჯახეობა ისევ ფეოდალურ ნიადაგზე იყო დამყარებული. იმ დროს, როდესაც ზემოხსენებულ ქვეყნებში წამოაყენეს და კიდევაც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას ითხოვდა საკაპიტალისტო წეს-წყობილების სხვა-და-სხვა საკითხები, აღმოსავლეთ ევროპაში არც-კი იყო ლაპარაკი ბატონყმობის გადავდებისათვის და სოფლის მცხოვრებნი ისევ ფეოდალების ხელ-ქვეშ იყვნენ. სხვა ქვეყნებს შორის ყველაზედ უფრო უკან ჩამორჩენილი იყო ფეოდალიზმის და ბატონყმობის დამცველი ავსტრია.

გარდა ამ მოვლენისა ავსტრიაში ჩვენ ვხედავთ ერთ სხვაგვარ მოვლენასაც, რომელსაც სრულებით ადგილი არა ჰქონდა სხვა უფრო განვითარებულ ქვეყნებში: იმ დროს, როდესაც ინგლისსა, საფრანგეთსა და თითქმის გერმანიაშიც-კი უფრო და უფრო მწვავდებოდა კლასსობრივი ბრძოლა და გაისმოდა ხმა, რათა ყველა ქვეყნის პროლეტარიები შეერთებულიყვნენ, როცა სხვა-და-სხვა ქვეყნების ერთგვარი კლასები უერთდებოდნენ ერთმანეთს, რათა მოსწრებოდნენ საერთო პრინციპის განხორციელებას, სწორედ ამ დროს ავსტრიაში უფრო და უფრო მწვავდებოდა ბრძოლა სხვა-და-სხვა ერთა შორის. [illegible] განცალკევებული ძალა უნდა შეერთდეს საერთო მიზნის მისაღწევათ, ასეთი აზრის გამოთქმა კლასსობრივ ურთიერთობის შეგნებასა ან საზოგადო პოლიტიკურ მოსაზრებაზედ კი არ იყო დავუძნებული, არამედ ეტნოგრაფიულ ერთობაზედ. ესრეთ მოვლენას ვხედავთ ჩვენ ავსტრიაში მცხოვრებ სლოვიანთა ერებს შორის.

დადგა ოციანი წლები მე-XIX საუკუნისა. სწორედ ამ დროს ავსტრიის სხვა-და-სხვა კუთხეში სლავიანთა ერის შორის იფეთქა თავის შეგნებამ თავისუფლებისადმი თანაგრძნობამ. იმავე საუკუნის ორმოციან წლებში ეს [illegible]ძნობა საკვირველის სისწრაფით იზრდება სლავიანთა შორის.

უნდა გენახათ, ეკონომიურად და კულტურით სლავიანთა ერები რა რიგად იყვნენ ჩამორჩენილნი სხვა ერებს. როგორც ზემოდ ვთქვით, ბატონ-ყმობა თითქმის გადავარდნილი არც-კი იყო. საპოლიტიკო თავისუფლება ხომ სიზმრადაც არ ეჩვენებოდათ, მით უფრო, რომ დიდი ნაწილი სლავიანებისა, ეხლანდელი ბულგარები, სერბები და სხვანი, ექვემდებარებოდნენ დესპოტიურ სამეფოს ოსმალეთს. თავ-და-თავ ელემენტს სლოვიანებში შეადგენდნენ ერთის მხრით გადაგვარებული სლოვიანები, მეორეს მხრით მობატონე ერის წარმომადგენელნი: გერმანელები, მადიარები, ოსმალები. ისეთი მაგალითებიც იყო, როდესაც რომელსამე ჯგუფს სლავიანთა ერისას შეადგენდა მხოლოდ უბრალო ხალხი. საერო განათლებასა, უმაღლესს კულტურასა ანუ სალიტერატურო ენაზედ იმას არავითარი წარმოდგენაც არა ჰქონდა. ავიღოთ, მაგალითად, ჩეხები. მე-XVIII და მე-XIX საუკუნეებში ისინი არაფრით არ განირჩეოდნენ უკან ჩამორჩენილ ერებისაგან. [illegible] ასეთ მდგომარეობისაგან თან-და-თანის გადაგვარებისა და უკულტურობისაგან სლავიანთა ერებმა თავი იხსნეს ერობრივ გრძნობის აღორძინებით.

პირველის ნაბიჯის გადადგმა ამ საქმეში იყო ხალხში კულტურის გავრცელება, რადგან იგი არის უმთავრესი ბურჯი ყოველის ერისა, ერობრივ ლიტერატურის შექმნითა და აღორძინებით. ასეთმა მოძრაობამ გამოიწვია, სხვათა შორის, სერბიის განთავისუფლებაც. მეცნიერ-მამულიშვილები ეძებდნენ სულიერ საზრდოს, სხვათა შორის, წარსულ ცხოვრებაშიაც, აგრეთვე ცდილობდნენ სხვა თანამოძმე ერებთან შეკავშირებას, რისთვისაც ითვისებდნენ ერთმანერთისაგან კულტურას და ლიტერატურას. მართალია, წარსულის მოგონებას უფრო რომანტიული ელფერი ედო, სამაგიეროდ ერების შეკავშირება ამხნევებდა ერის აღორძინებისათვის მებრძოლთ; არ დაიღუპება პატარა ერი, ამბობდნენ ისინი, თუ იმას საერთო სულიერი შინაარსი აქვს და გარეგანი კავშირი სხვა მონათესავე ერებთან. „ტევტონობა" გერმანიაში არის ასეთივე რომანტიულ ნიადაგზედ აშენებული გაერთიანებისადმი მიმართულება. სლავიანების მეცნიერნი, პოეტები და პუბლიცისტები საშინლად ადიდებდნენ და აზვიადებდნენ გამოვლილ ცხოვრებას. იმათ აღწერით, წინაპარნი ყოველ გვარის ღირსებით იყვნენ აღჭურვილნი, გაიძახოდნენ, რომ თვით დასავლეთ-ევროპასაც არა ჰქოლია მათი ბადალი და დაუჯერებელია, რომ სლავიანთა ერებმა არ დაიჭირონ საუკეთესო ადგილი მსოფლიო წინმსვლელობასა და ვითარებაშიო. იქამდისაც კი მივიდნენ, რომ, რასაც ფიხტე და ჰეგელი გერმანიის ერისათვის ამბობდნენ, სლავიანების მამულიშვილები ამასვე გაიძახოდნენ თავიანთ ერის შესახებ. ასეთის საოცნებელით იყვნენ [illegible] სლავიანები და ყველაზედ უფრო კი პოლონელები. „მესსიანიზმი" პოლონიაში ისეთი რწმენა იყო, რომელიც აღდგენას უქადიდა პოლონეთს. პარიზში 1846—8 წლებში გამოჩენილის პოეტის მიცკევიჩის მეთაურობით შესდგა ასეთ მორწმუნეთა წრე, იმას თავის წინასწარმეტყველი—გვარად ტოვინსკიც კი ჰყავდა.

აღორძინებისათვის ნაყოფიერი მუშაობა ძალიან შეაფერხა ზემოხსენებულმა რომანტიზმმა.—იგი ხელს უშლიდა, ყველას ეგრძნო კულტურულ, სოციალ-პოლიტიკურ იდეათა ზედგავლენა, იმ იდეათა, რომლებიც დაწინაურებულ ერთა შინაარსს შეადგენდა. ერობრივ მიდრეკილებას კი ჰქონდა მნიშვნელობა და სასურველი ნაყოფიც. სლოვიანებისთვის ჯერ ადრე იყო იმ საკითხებზე ფიქრი, რომლებიც ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის ცხოვრებამ წამოაყენა; ისინი ლაპარაკობდნენ საპოლიტიკო და საოჯახო წყობილებაზე, სლავიაებს კი ერის არსებობის, ენის და ლიტერატურის არსება-ვითარებისათვის უნდა ელაპარაკნათ. ეს ორნაირი საკითხები შორს არიან ერთმანეთისაგან. ამ დროს მხოლოდ მცირე ნაწილი,—ისიც საზღვარ-გარედ მყოფი,—პოლონელნი იყვნენ გამსჭვალულნი დაწინაურებულის დემოკრატიულის იდეებით და სრულებით მოწყვეტილნი კი თავის სინამდვილესა.

განვიხილოთ უფრო დაწვრილებით სლავიანთა მდგომარეობა და მათი აღორძინება.

უპირველეს ყოვლისა უნდა ვსთქვათ, რომ მე-XIX საუკუნის ათიან წლებში სლავიანები დიდად დაჩაგრულნი და დამონავებულნი იყვნენ ავსტრიის მიერ. დედა ენას ხმარობდა მხოლოდ სლავიანთა მდაბიო ხალხი. სლავიანებს ყოველ ნაირად სდევნიდნენ. ლიტერატურა დაცემული იყო, შეეძლოთ თავიანთ ენაზე ებეჭდათ მხოლოდ დაბადება და სხვა-და-სხვა განკარგულება, უფრო კი

მოსწონს; ჩვენსას არც სიტყვას, არც ლას გრომად არ აგდებს.

უფრო მეტ ავტორიტეტად ჩემი მეგობარი ვის თავსა სთვლის გარეშე და შინაურ პოლიტიკაში და უფრო ხშირად ამის გამო გვდის ხოლმე შეტაკება, „რას ჯღაბნით თი თქვენცა“, შემოგვძახებს, როდესაც რედაქციაში შემოიჭრება: „იაპონიასა და რუსეთს უკვე ორი თვეა გაცხარებული ომი აქვთ, თქვენ-კი რაღაც მოლაპარაკებაზე სწერთ“! არ გეგონოსთ, ვითომ ხუმრობდეს: ნამდვილად დარწმუნებულია, შორეულს აღმოსავლეთში კარგა ხანია ომი დაიწყო და სასაცილოდ არ ყოფნის ჩვენი წერა და ლაპარაკი დიპლომატიურ მოლაპარაკების შესახებ...

ამ დღეებში ამ ჩემ მეგობარ-კრიტიკოსმა თავისებურის რიხით შემომძახა: ეს რა წამოროშე! ნუ-თუ მართლა გგონია „ნოვ. ვრ.“ რასმე სერიოზულს მოელისო? ნუ-თუ მართლა გგონია, რომ სამინისტროთა იუბილეის დროს წარმოთქმულ სიტყვას ის აზრი ჰქონდა, რომელიც შენ მიაწერეო? აი ამ ყვინმა გამაბედვინა ჩემს მეგობარზე მეთქვა რამოდე სიტყვა, რადგან, ვინ იცის, იქნება სხვამ ვინმემაც ისე გაიგო ჩემი წერილი, როგორც ჩემმა უცნაურმა კრიტიკოსმა?!

ლაპარაკი იმ წერილზეა, რომელშიაც განხილული იყო რუსეთის ცხოვრება წარსულ წელს. წერილის დედა-აზრი შემდეგი იყო: რუსეთის ცხოვრებამ ბოლო წლებში წამოაყენა მთავარი საკითხები, რომელთა გადაწყვეტა აუცილებელ საჭიროებად ხდება; ჩვენის დროის მთავარი მოთხოვნა კატეგორიულ იმპერატივად გადიქცა, რომლის ასრულებას სინამდვილე დაჟინებით თხოულობს; საქმე იქამდის მივიდა, რომ თვით „ნოვ. ვრ.“-ც სხვა ჰანგზე გალობას იწყებს; ჩვენის დროის მოთხოვნა და საჭიროებანი იმდენად გამოირკვენ, რომ მათ გვერდს ვერავინ უხვევს და ბევრი **იძულებულია** სიტყვა ჩამოაგდოს თვითმმართველობის გაფართოვების საჭიროებაზე და სხვა. აი რას ვამტკიცებდი და არა იმას, ვითომ ამა და ამ დარჩინებულმა პირმა პირდაპირ აღიარა, ფართო რეფორმები უნდა იქნეს შემოღებულიო.

ყველას ახსოვს, რა საყურადღებო სიტყვა იქმნა წარმოსთქმული შარშან-წინ სამინისტროთა იუბილეის დღესასწაულის დღეს. მაშინ რუსეთის მთელმა პრესსამ აღნიშნა იმ სიტყვის მნიშვნელობა: როდესაც ბიუროკრატიის მთავარი წარმომადგენელი ამბობს საზოგადოებრივ ძალთა განვითარების საჭიროებაზე, ეს **სიმპტომატიური** მოვლენაა, იმგვარი მოვლენა, რომელიც ცხადათ გვიმტკიცებს, რაოდენ მძლავრი არის რუსეთის თანამედროვე ცხოვრების მიერ წამოყენებული საჭირ-ბოროტო საკითხი. ჩემს გულ-უბრყვილო კრიტიკოსს-კი ეგონა, ხსენებულ სიტყვის წარმომთქმელი მზად არის ეხლავ სამოთხე დაამკვიდროს ქვეყნადაო.

არა, ჩემო მეგობარო! კარგად მესმის, რომ სუვორინები და ამხ. ეხლა კიდევ უფრო ეცდებიან წინააღუდგნენ ჟამთა მოთხოვნას; შეიძლება სამოთხის მაგიერ უარესი ჯოჯოხეთიც გაამეფონ, მაგრამ ამით „კატეგორიულ იმპერატივს“ მაინც ვერ წაუვლენ,—იმ იმპერატივსა, რომელიც მათაც-კი ათქმევინებს ხოლმე სიმპტომატიურ სიტყვებს.

გან

რუსეთის ქრონიკა

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ პეტერბურგში სატეხნიკო და საპროფესიონალო განათლების მოღვაწეთა კრებაა. კრებას სასურველად უცვნია საშუალო სკოლებში სავალდებულო საგანთა პროგრამის შემოკლება. სხვათა შორის, ამ კრებაზე ერთი საყურადღებო მოხსენება წაუკითხნიათ—„ნერვიანობა მოსწავლეთა შორის“. აღმოჩნდა, რომ შუა კლასებამდე მოსწავლეთა 51% ნერვების სხვა და სხვა სნეულებით ხდება ავად. ამის მიზეზად სწავლა-აღზრდის სისტემა უცვნიათ. შემდეგ კრებას დაუდგენია, იშუამდგომლოს, იმ ხელოსნებს, რომელნიც სახელოსნოებში 10 წლის განმავლობაში ხელოსნად იქმნებიან, პირად საპატიო მოქალაქეობა მიეცეთ ხოლმე.

◆ საერო განათლების სამინისტრომ ნება დართო საკომერციო სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულთ, შევიდნენ ხოლმე საბეითალო ინსტიტუტში.

◆ პეტერბურგსა და ვლადივასტოკს შორის ჰფიქრობენ პირდაპირ ტელეგრაფის მოწყობას. ამას გარდა პირდაპირ ტელეგრაფს მოაწყობენ მოსკოვ-ტფილისს, მოსკოვ-კიევს და მოსკოვ-ყაზანს შორის.

◆ ქ. ხერსონში სტამბების თვალ-ყურის დევნა მინდობილი აქვს გუბერნატორის საგანგებო საქმეთა მოხელეს ვ. ბალზამს. ამ მოხელეს ადგილობრივ გაზეთის „იუგ“-ის რედაქტორ-გამომცემელი პასუხისგებაში მიუცია დღესასწაულის მეორე დღეს გაზეთის გამოცემისათვის, მაშინ, როდესაც პროგრამით ამის ნება არა აქვს. მოსამართლეს რედაქტორი დამნაშავედ არ უცვნია და ეხლა ბალზამს საქმე უმაღლეს ინსტანციაში გადააქვს თურმე.

◆ როგორც „ვესტნიკ იუგა“ გადმოგვცემს, კამენსკის ქარხანაში ამას წინად უწესოებანი მომხდარა. ამ ჟამად კამენსკში მოხელენი არიან და გულმოდგინედ იძიებენ საქმეს. გამოურკვევიათ, რომ ხუთი კაცი ყოფილა მოთავე. ზარალი 400 ათას მანეთს უდრის. ქარხნის მომხმარებელ დუქანში დაიწვა 180 ათას მანეთის საქონელი. დაიწვა ქარხნის კანტორა და ინსპექტორის სადგომი. აიკლეს დირექტორის სადგომი. მუშაობა განაახლეს. რამდენიმე მუშა აკლია. ჰფიქრობენ, რომ ესენი დუქნის აკლების დროს ცეცხლში დაიღუპნენ.

თეატრი

ქუთაისი. 4 იანვარს ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასმა წარმოადგინა ნაიდენოვის პიესიდან გადმოღებული კომედია „დარღვეული კერა“ და პ. უმიკაშვილის სცენები „სამზადისი“. წარმოდგენამ საზოგადოდ მწყობრად ჩაიარა. „დარღვეული კერა“ მოეწონა საზოგადოებას. ბ-ნმა გუნიამ კარგად შეასრულა თავისი როლი და ნათლად დაგვისურათა უხეირო შვილების ყოფა-ქცევით გულდათუთქული მამა მიხეილ ივერიძე, რისთვისაც საზოგადოებამ მრავალჯერ გამოუძახა და ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვა. ქ-ნი გივიშვილი (ჩემის აზრით, გივიშვილი უნდა ყოფილიყოს, თუმცა პროგრამაში „ნებიერიძე“ ეწერა) შვენიერი გამდელი ფეფო იყო, თუმცა არაყის სულმოუთქმელად ხუხვა კი ქართველი ქალისთვის გადაჭარბებულად მეჩვენება; მაგრამ ეს თვითონ თარგმანის ბრალია. ქ-ნი მდივანი ჩვეულებრივ ლამაზი მოწაფე ქალი ნინო იყო: თვალ-ტანადობა, ხმა, მიხვრა-მოხვრა—ყველაფერი ხელს უწყობდა. [illegible]ბი იყვნენ აგრეთვე ქ-ნი ივანიძე (დარ[illegible]ჯანი, ივერიძის ცოლი), ბ-ნნი აწყურელი ([illegible]ძე, ქეთევანის ქმარი) და დ. ჩარკვიანი ([illegible]რა, ივერიძის ვაჟი, მოწაფე). დანარჩენებიც საკმაოდ ხელს უწყობდნენ ანსამბლს, მხოლოდ ქ-ნ გამყრელიძეს (ქეთევანი, ივერიძის ქალი) ხანდახან კოჭლობა ავიწყდებოდა. ბ-ნმა თუთბერიძემ (ალექსანდრე, ივერიძის უფროსი ვაჟი) ისე უხერხულად ესროლა საფერფლე (თუ ჯამი) აწყურელს, რომ ზედ ხელზე სტყორცნა და ზედვე მიამსხვრია. ქ-ნ ყიფიანს თუმცა მეტი გამბედაობა ეტყობა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი შრომა სჭირია, რომ თავისუფალ მიხვრა-მოხვრას და ხმის გამოცვლას შეეჩვიოს. რაც შეეხება „სამზადისი“-ს, იგი შარშანწინა და შარშან ბევრად უკეთ იყო წარმოდგენილი, ვიდრე წელს. ზოგიერთნი თავის გრიმითა და ტანისამოსით გაქონილ ყასბებს მოგაგონებდნენ. არა უშავდათ მხოლოდ ბ-ნთ გამყრელიძეს (პლატონ იოსელიანი) და აწყურელს (რევაზ ერისთავი). წარმოდგენას საზოგადოება ჩვეულებრივზე მეტი დაესწრო.

დონ-ვალიანი

წვრილი ამბები

ბაყაყებიც შემოვიდნენ მოდაში. ლონდონის არისტოკრატიულ წრეებში დიდ მოდაშია ამ ჟამად ბაყაყი. ისეთი ოჯახი არ არის, რომელიც ბაყაყებისთვის განსაკუთრებულ აუზებს და მოწყობილებებს არა მართავდეს. ძალიან დიდი ფასი აქვს გაწვრთნილ ბაყაყებს. ლონდონელნი ჰმართავენ ბაყაყთა დოღებს და სხვა. უკვე დაარსდა ლონდონში ბაყაყების მოყვარულ ქალთა საზოგადოება. ასე იცის უსაქმობამ...

მოგზაურობა დედამიწის გარეშემო. ნამდვილი მოგზაურობა არ გეგონოთ. ეს ახალ ჯურის მოგზაურობაა და მსურველს შეეძლება გამოსცადოს მსოფლიო გამოფენაზე, ამერიკას, სან-ლუიში. როგორც ვუწყით, ეს გამოფენა ამ ზაფხულს გაიმართება. სხვათა შორის, ამ გამოფენაზე საყურადღებო იქნება საეტნოგრაფო განყოფილება. განსაკუთრებულ შენობაში, რომელსაც მოგრძო შარის მსგავსად ააგებენ, დააწყობენ დიდ ტიკინებს სხვა-და-სხვა ერის ტიპებს. ეს ტიპები ეროვნულ ტანისამოსში იქნებიან და მოწყობილებაც ეროვნული იქნება. მსურველნი ყველა ოთახებს მოივლიან, ამ რიგად „დედამიწის გარეშემო იმგზავრებენ“ და ყველა ერის წარმომადგენლებს ჰნახავენ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 იანვარი

უფა. 5 იანვარს მე-243 ზლატოუსტის სათადარიგო ბატალიონმა დიდის ამბით იდღესასწაულა ასის წლის იუბილეი.

ევპატორია. მეორე დღეს, რაც ფოსტის გემი „წმ. ნიკოლოოზი“ გარიყა. მგზავრები გადმოიყვანეს. გემი ხშირის ნისლის გამო გარიყულა.

ტოკიო. კარგად მცოდნე წრეები [illegible], რუსეთმა აცნობა იაპონიას, ყველა უფლებასა და უპირატესობას, რაც სახელმწიფოებს ხელშეკრულობის ძალით ჩინეთისაგან მანჯურიაში მოუპოვებიათ, პატივისცემით მოვეპყრობითო.

ტოკიო. იაპონიას არა აქვს იმედი, რომ რუსეთმა პასუხი ერთ კვირაზე ადრე ჩააბაროს.

ტუტებისა. ქალაქებში იზრდებოდა გადმოსახლებულ გერმანელთა რიცხვი. სლავიანების მაღალ წოდების წარმომადგენლებმა თავის ერს უმტყუნეს და თან-და-თან გერმანელდებოდნენ. გერმანული ენა შეიქმნა სახელმწიფო ენათ, სკოლებსა, სამსაჯულოსა და სეიმებში ამ ენაზე იყო საქმის წარმოება. სლავიანურად ლოცვანი ან კალენდარი-ღა თუ დაიბეჭდებოდა. თავად-აზნაურობას ჰქონდა მინიჭებული ყოველგვარი უფლება, სოფლის და ქალაქის მცხოვრები ყოველნაირად ემორჩილებოდა და ემსახურებოდა იმას. მიუმატეთ ისიც, რომ ავსტრიის [illegible] ერც-ჰერცოგი იოსები საშინლად [illegible] სლავიანების მამული-შვილებს. [illegible] ერთმანეთ შორის შინაური წინააღმდეგობა და უთანხმოება ძალიან აუძლუ[illegible] იმათ.

[illegible]ჩედ იმ დროს, როდესაც ზოგიერთი [illegible]რი ზრუნავდა საზოგადო სალიტერატურო ენის შესაქმნელად, სხვა-და-სხვა სლავიანთა შორის მწვავდებოდა უთანხმოება [illegible] გამო, თუ რომელ ენას მიეცეს უპირატესობა, რათა აღიარონ იგი სალიტერატურო ენად. ასეთი უთანხმოება და სეპარატიზმი ხელს უშლიდა საკულტურო-სალიტერატურო ზრდას მთლად ერისას. ხორვატელები [illegible]ავებოდნენ სერბებს, სლოვაკები ჩეხებს, [illegible]უსინები პოლონელებს. რასაკვირველია, ავსტრიის მმართველობა, რომელიც მისდევდა პრინციპს—„divide et impera“ („დაყოფით [illegible]ფლობდეო“) დიდად სარგებლობდა ასეთ [illegible]ვარებით ერთა შორის და ყველანი ჰყავდა ერთ-ნაირად დამონებული.

[illegible]დგა ორმოციანი წლები. ყველგან განახლდა სურვილი ასეთ მდგომარეობის შეცვლისა. დაიწყეს პატრიოტულ ბროშურებისა და სიმღერების წერა, ქებით იხსენიებდნენ წარსულ გმირობას, გერმანელებისა და სხვა მტრების თავზარ-დამცემს. სლავიანთა კულტურით აღდგენა დაიწყო ჩეხიაში იოსებ II მეფობის დროს, რომელმაც ამ საქმეს ხელი შეუწყო იმით, რომ სლავიანთა გაგერმანელებით აუშალა იმათ პატრიოტული გრძნობა. მე-XVIII საუკუნის დამლევს ვხედავთ ჩეხელ მღვდელთ, მასწავლებელთ, მოქალაქეთ, რომელთაც წარსული ცხოვრება თავისი ერისა დიდად აინტერესებთ; შრომობენ, რათა დაიცვან თავიანთი ერი; სხვა თვალით უყურებენ ნამყოს! მაგალითად, იმათის აზრით, ჰუსიტელების მოძრაობა სარწმუნოებრივ და ერობრივ თავისუფლებისაკენ მისწრაფება იყო. მამულიშვილების აზრით, უმთავრესი ღონისძიება ერის დასაცველად არის ხალხში სწავლის შუქის შეტანა იაფ-წიგნაკებისა და გაზეთების გავრცელებით. ამასთან ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა დაებრუნებინათ ერისათვის დაკარგული გაგერმანელებული თავად-აზნაურობა.

საყურადღებოა ის მოვლენა, რომ პირველი მეცნიერები, რომელთაც დაიწყეს საქმე და ულვიძებდნენ წარსულისადმი ინტერესს, სწერდნენ უფრო გერმანულად და ლათინურად, ვიდრე ჩეხურად. შესანიშნავი თხზულება იოსებ დობროვსკისა, რომელიც მეცნიერულის თვალით უყურებს სლავიანთა წარსულს, დაწერილია ლათინურად (institutiones cinguae slavicae dialecti veteris 1822). დიდებული ისტორიკოსი და საპოლიტიკო მოღვაწე პალაცკი ამბობს, როცა პრაგას ჩავედი (1823 წ.), მხოლოდ მდაბიო ხალხი-ღა ლაპარაკობდა თავის ენაზეო; ვისაც უნდოდა უფრო მაღალ საფეხურზე შემდგარიყო, უთუოდ დაიწყებდა ლაპარაკს გერმანულად და სიცილით ანუ სიბრალულით ან თუ არა და პირდაპირის ზიზღით უყურებდა იმათ, ვინც სლავიანურად ლაპარაკობდა. უმთავრესი ორგანო სლავიანთა აღორძინებისა იყო „ჩეხელთა მუზეუმი“, რომელიც დაარსდა 1818 წ. იმასთან დაარსდა ფონდი სლავიანურ წიგნების გამოსაცემად და დაარსდა დრო გამოშვებითი გამოცემა (casopis ceskeho museum). ამ გვარად ჩეხელთა ენა, ლიტერატურა და ისტორია შეიქმნა საგნად გულ მოდგინე შრომისა მეცნიერ სლავისტებისათვის. ამ დროსვე იღვიძებს და ვითარდება ერობრივ მამულიშვილობით გამსჭვალული ხელოვნური ლიტერატურა. ამ აღორძინების ერთმა მოღვაწემ, ვაცლავ განკამ, 1819 წელს გამოსცა ვითომდა ორის წლის წინად ნახული „კრალევოდვორის“ ხელთნაწერი, ჩეხელების ძველ პოეტების თხზულებებისაგან შედგენილი. მეცნიერნი ამტკიცებდნენ ამ ხელთნაწერის სიყალბეს, მაგრამ პატრიოტები მაინც დიდის აღტაცებით მიეგებნენ.

ახალგაზდობა თან-და-თან მიემხრო ახალ მიმართულებას, და ორმოციან წლების ახალთაობა უკვე გამსჭვალული იყო ერობრივის მიდრეკილებით.

1832 წელს „ჩეხელთა მატიცას“ (წიგნების გამოსაცემი ფონდი) ჰყავდა მხოლოდ 15 წევრი; თოთხმეტის წლის შემდეგ-კი, ესე იგი 1846 წელს წევრთა რიცხვი 1600-მდე ავიდა. ნივთიერად დახმარებას ყოველნაირ პატრიოტულ მოქმედებისთვის აძლევდა-თავად-აზნაურობა. პრაგა შეიქმნა სლავიანთა მეცნიერების ცენტრად. აქ თვალ-ყურს ადევნებდნენ იმას, თუ რა მოხდებოდა სხვა თანამოძმე ერთა ცხოვრებაში, ამდიდრებდნენ ჩეხელთა ლიტერატურას ყოველნაირ თარგმანებით. პრაგას მიდიოდნენ, რათა გაეცნოთ საუკეთესო მეცნიერნი სლავისტები. სხვათა შორის ასეთ აზრით გაემგზავრნენ რუსი[illegible]დინი და გრიგოროვიჩი [illegible] გაერთიანების [illegible] ერთა [illegible]ში ეძებდნენ საფუძველს საუკეთესო მერმისის მისაღწევად. ისინი ამბობდნენ, ყველა სლავიანთა ერი უნდა გამსჭვალული იყოს იმ აზრით, რომ იგი ეკუთვნის ერთ დიდს ერს, ერთს დიდს ჯგუფს, ერთს ოჯახს, რომელიც შეკავშირებულია საერთო ჩამომავლობით, მონათესავე ენებით და მრავალის საერთო ზნე-ჩვეულებით.

აზრი დიადის წარსულის ცხოვრების შესახებ და იმედი, თუ რა სასურველ ნაყოფს გამოიღებს სლავიანთა ერების შეერთება, შეადგენს აღორძინების ყოველ მოქმედების აზრს. მაგალითად, გამოჩენილი მეცნიერი შაფარიკი თავის თხზულებაში: „სლავიანთა სიძველენი“ (გამოიცა 1837 წ.) სლავიანთა წასულ ცხოვრებას იდეალად სახავს. იმის აზრით, სლავიანები აღსავსე იყვნენ ყოველნაირის ღირსებით და რომ იმათ არ ჰკლებოდათ ერთმანეთ შორის პირმტკიცეობა (სოლიდარობა) და მჭიდრო კავშირის მოყვარენი ყოფილიყვნენ ერთმანეთ შორის—ისინი თავის დღეში არ გახდებოდნენ სხვისი ქვეშევრდომნი.

კიდეც შეუდგნენ სლავიანთა ერების გაერთიანების აზრის განხორციელებას. ასეთ დიად მიმართულებას ისტორიამ უწოდა სახელი „პანსლავიზმი“. სლავიანთა ყოველი ერი ემსახურებოდა გაერთიანების აზრს, რითაც-კი შეიძლებოდა.

„შეჰქმენით ერთი ოჯახი“, ეუბნება პოეტი კოლლარი სლავიანებს: ოჯახი მაგარი და ერთ სული, დაარქვით ერთი სახელი, მოახერხეთ, რომ გარეგნებმა და შინაურებმა, ვილაც საძაგლებმა, არ დაამხონ ხელ ახლად იგი. და გყავდეთ მრავალი წევრი, მაგრამ გებათ ერთი თავი კი—ერთი მიზანი. დაიწყეთ ლიტერატურულ ერთობით და მიაღწევთ კეთილ ბოლოს, იქონიეთ დევიზად: „მე სლავიანი ვარ და არაფერი სლავიანური არ მეუცხოვება“. ამასვე ჰქადაგებდნენ გაი, კუკულევიჩი და სხვანი.

ი. ნ—რაძე

იაპონია მაინც კარგადაა მომზადებული და დინჯად ელის ომსა. მთელს იაპონიაში პატრიოტული ერთობა სუფევს; თუმცა ხალხი არც საპატიო ზავზე იტყვის უარს, მაგრამ მაინც თავის ჯარსა და ფლოტს ისეთის სრულის ნდობით ეცქერის, რომ ისევ ბრძოლას არჩევს, ვიდრე თავის მოთხოვნილების უარ-ყოფას.

შერბურგი. ნავთ-სადგურში მდგომ რუსეთის ჯავშნიან გემების ოფიცრები სადღესასწაულო წარმოდგენაზე მოიწვიეს. ქალაქის თვით-მმართველობამ შამპანური შესთავაზათ. ქალაქის მოურავმა და რუსეთის გემების უფროსმა სადღეგრძელოები წარმოსთქვეს. რუსეთის ჰიმნსა და მარსელიეზას ტაშის-ცემით მიეგებნენ.

კალკუტა. სამ-ოთხ ათასამდე ტიბეტელი ქალაქ ფარიდან დაახლოვებით 40 მილის მანძილზე შეიკრიბნენ; ადვილად შესაძლებელია, ინგლისელების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყონ. ინგლისის ჯარი ეხლაც ჯან-მთელადაა, თუმცა აქ დიდი სიცივეა.

ალჟირი. რუსეთის კრეისერი „ალმაზი“ მოვიდა.

სტოკჰოლმი. რიკსდაგი დიდის ამბით გახსნეს. სეფე-სიტყვაში ნათქვამია, სხვა-და-სხვა სახელმწიფოსთან მოლაპარაკება დავიწყეთ სამედიატორო სასამართლოს თაობაზე. ნათქვამია აგრეთვე, მალე კანონ-პროექტს წარმოვადგენთ იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო რკინის გზები ფინლანდიის საზღვრამდე განვაგრძოთო.

6 იანვარი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა მე-236 კოტელნიჩის და მე-243 ზლატოუსტის სათადარიგო ბატალიონებს, რომლებსაც დაარსების დღიდგან ასი წელიწადი შეუსრულდათ, ახალი ბაირაღები უბოძა საიუბილეო ლენტებითა და ზედ-წარწერით—„1803—1903“.

ყარსი. 5 იანვარს აქაურ პოლიცმეისტერის თავად ხერხეულიძის მოკვლა განიზრახეს; იმის მხლებელ პოლიციელს ტყვიამ გულში გაურბინა; ერთი ბოროტ-განზრახველი დასჭრეს და დაატუსაღეს. თავ. ხერხეულიძე უვნებლად გადარჩა.

პორტ-არტური. „ნოვი კრაი“ სწერს: იაპონია მეტად დიდ უფლებასა თხოულობს კორეაში, თითქმის გაბატონებას ცდილობს კორეის იმპერიაში; ამას არა თუ რუსეთი, სხვა სახელმწიფოებიც ვერ დასთანხმდებიან.—სეულიდან იუწყებიან: ხალხი აღელვებულია, შეიძლება ევროპიელების წინააღმდეგ მოძრაობა დაიწყოსო. საელჩოების დასაცველად, რუსის რაზმების გარდა, ამერიკის, ინგლისის და იტალიის რაზმებიც მოვიდნენ. ამბობენ, ვითომ იაპონელებს 600 ჯარის-კაცი კაზარმებში ჰყავნდეთ და 3 ათასი კიდევ სხვა ტანისამოსით სოფლებში დაემალოთ. ბევრი მაღალ-წარჩინებული კორეელი ევროპიელების წინააღმდეგ პარტიას ეკუთვნის და იაპონელების გავლენის ქვეშ იმყოფება.

მანილა. შეერთებულ შტატების სამხედრო ესკადრა მოვიდა; 6 იანვარს კრეისერებიც მოვლენ. ხმა დადის, როცა ყველა გემი შეიკრიბება, ბრძანება მოუვათ, იონამპოს წადითო.

პარიზი. პრინცესა მატილდა დაასაფლავეს; დასაფლავებას დაესწრნენ პრინცი ლუი ბონაპარტი და მრავალი გამოჩენილი ბონაპარტისტი.

7 იანვარი

პეტერბურგი. 6 იანვარს, სანათლისღებოდ მისის უდიდებულესობის თანდასწრებით ჯარის პარადი გაიმართა.

სტამბოლი. ბოლოს დროს სომხების წინააღმდეგ უფრო სასტიკ ღონისძიებას იღებენ; აქ თუ პროვინციებში სომხებს ბეჯითად ადევნებენ თვალ-ყურს. ოსმალეთის მთავრობამ სომხის პატრიარქის დელეგატებს იერუსალიმს წასვლა აუკრძალა. პატრიარქმა ორმანიანმა ამის თაობაზე ბეჯითი პროტესტი გამოუცხადა ილდიზ-კიოსკს.

ტოკიო. ჰფიქრობენ, იაპონიის მთავრობა მოკლე ხანში ხელ-შეკრულობის ძალით გახსნილ მანჯურიის ნავთ-სადგურებში კონსულებს დაჰნიშნავსო.

ბახმუტი. ფაიხშტეინის მაღაროში ზვავმა 15 მუშა მოიყოლა ქვეშ; ამათგან 14 გადაარჩინეს.

მოსკოვი. დიდ სავაჭრო ფირმის მეთაური ვოგაუ გარდაიცვალა.

ჰელსინგფორსი. ნათლისღება დღეს, გენერალ-გუბერნატორის თანდასწრებით საეკკლესიო პარადი გაიმართა. საეკკლესიო პროცესიას დიდძალი ხალხი დაესწრო. წესიერება სამაგალითო იყო.

პორტ-არტური. „უნივერსალ გაზეთ“-ი სწერს: ის ხმა, ვითომ ინგლისს წინადადება მიეცეს სახელმწიფოებისათვის, ჩინეთი გავინაწილოთო, სრულებით მოგონილია.

პორტ-არტური. აქაურ უფროსების მოქმედებიდან სჩანს, რომ ომზე იმდენად აღარ ჰფიქრობენ. ხალხის ცხოვრება ჩვეულებრივად მიმდინარეობს, არაფერი ცვლილება არ ემჩნევა. ჯარის გადაყვან-გადმოყვანას კიდევ განაგრძობენ. უმაღლესი სამხედრო უფროსები კიდევ ხშირად ახდენენ თათბირს.

ტიანძინი. რუსეთის ჯარი პეკინიდან და ტიანძინიდან პორტ-არტურს გადაჰყავთ. პეკინში მცირე დამცველ რაზმს-და დასტოვებენ, ტიანძინიდან კი სულ წამოიყვანენ ჯარს.

პარიზი. გარეშე საქმეთა მინისტრი ხანგრძლივად ესაუბრა რუსეთის ელჩს. გაზ. „მატენ“-ს ატყობინებენ დიპლომატიურ წრეებიდან, ეს ხშირი თათბირი რუსეთ-იაპონიის ურთიერთობაში მომხდარ ცვლილებას სულაც არ მოასწავებსო. ეს ურთი-ერთობა უცვლელად რჩება, მაგრამ ასეთი გამწვავებული-კი არას დროს არა ყოფილა, როგორც ზოგიერთ დეპეშაში იყო აწერილი.

შანხაი. ნანკინის მეფის მოადგილე 10 ათას ჩინელ ჯარის კაცს ამზადებს ჩრდილოეთისაკენ გასაგზავნად. ამ მეფის მოადგილემ 1 მილიონ ტაელის თოფი შეიძინა იაპონიისაგან. ოკეანის სანაპირო პროვინციების მეფის მოადგილეები და გუბერნატორები დიდ-ძალ თოფსა და სამხედრო მასალას იკვეთენ იაპონიაში.

ნიუ-იორკი. პეტერბურგიდან მიღებული დეპეშა იუწყება: იაპონიის აქაურმა ელჩმა გამოაცხადა, ომის დაწყება არა ჰღირს იმ საქმეების გამო, რომლების თაობაზე ჯერ მოლაპარაკება სწარმოებსო.

ბერლინი. პრუსიის სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაში შემოსავალი ნაანგარიშევია 2,800,805,050 მარკა; ჩვეულებრივი გასავალი 2,626,260,668 მარკა და განსაკუთრებული გასავალი — 174,544,382 მარკა.

პეკინი. მისიონერები იუწყებიან, პრინცი ტუანი ძლიერ ავად გახდა, ტუნფუსიანი ვითომ გარდაიცვალა კიდეცაო.

კოპენჰაგენი. დღეს დანიის მეფე მოვიდა.

ვენა. აქ „ოესტერრაიხიშერ ორიენტფერაინის“ საზოგადოება დაარსდა. საზოგადოების წევრებად არიან დეპუტატები და მრეწველობის წარმომადგენელნი. ამ საზოგადოებას აზრადა აქვს ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზე ავსტრიის სავაჭრო ინტერესებს ბეჯითად შეუწყოს ხელი.

პარიზი. უმთავრესმა პროკურორმა საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარეს დრეიფუსის საქმის თაობაზე მოხსენება გადასცა. მოსამართლეთა წრეები ჰფიქრობენ, სასამართლოს სისხლის განყოფილება თითონ მოახდენს გამოძიებასაო; ამ შემთხვევაში საქმე საბოლოოდ მხოლოდ ივნისში გაირჩევა.

სოფია. განმათავისუფლებელ-მეფის ძეგლის ამშენებელმა კომიტეტმა დაადგინა, ეს ძეგლი 30 აგვისტოს გავხსნათო. პლევნას ძეგლსაც დაამთავრებენ, დაამთავრებენ აგრეთვე ისტორიულ სახლებსაც პლევნასა და სხვა ადგილებში, სადაც ალექსანდრე II ცხოვრებდა. იმ ადგილებში დაჰდგამენ იარაღსა და სხვა ნივთებს, რუსეთისაგან შეწირულებს.

მე-78 ტირაჟი 1-ლ მომგებიან სესხისა

№№ სერიების.	№№ ბილ	მოგების ჯამი	№№ სერიებისა	№№ ბილ.
10,010	9	200,000	3,852	28
14,273	49	75,000	15,304	31
6,574	35	40,000	19,026	20
16,890	40	25,000	16,072	16
11,666	6	10,000	4,784	46
4,796	37	10,000	14,309	36
13,710	19	10,000	208	8
3,808	1	8,000	16,613	1
12,592	32	8,000	16,694	17
6,416	24	8,000	10,802	38
15,808	46	8,000	10,154	13
2,350	22	8,000	1,818	10
17,286	31	5,000	6,433	3
7,434	50	5,000	13,916	6
7,000	15	5,000	5,690	10
18,040	4	5,000	15,054	24
7,488	42	5,000	17,051	11
14,549	3	5,000	12,918	4
4,911	30	5,000	9,571	9
17,119	17	5,000	2,719	38

ხუთას-ხუთასი მანეთი

№№ სერ.	№№ ბილ.	№№ სერ.	№№ ბილ.	№№ სერ.	№№ ბილ.
18326	1	12401	17	9555	33
6946	2	12679	17	2746	33
19686	2	7685	18	15752	33
1024	2	18094	18	5195	34
14654	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	34
4529	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
1540	4	13303	19	14573	35
5070	4	18536	19	9495	35
9655	5	8562	19	1584	35
10679	5	6024	19	16128	35
2318	5	16782	19	8604	35
12906	5	15733	19	4605	35
9705	5	4632	20	16426	35
433	5	8101	20	4176	36
9958	5	15055	21	4137	36
9397	5	16647	21	1930	36
19608	5	16467	22	19529	36
10495	6	4191	22	14733	37
14691	6	15341	22	6061	37
12142	6	11727	22	14675	37
13019	6	15814	22	18992	37
18348	6	19040	23	5236	38
19491	6	12010	23	18802	38
2731	7	13170	23	19659	38
18767	7	9505	24	18077	38
12150	7	9532	24	1951	38
958	7	3267	24	15040	38
4321	7	3421	24	2419	39
12493	7	7476	24	12546	39
7571	8	16233	25	17051	39
6516	9	12610	25	7941	39
10533	10	2197	25	1076	39
14302	10	7233	25	10950	40
14115	10	12242	25	15795	40
15007	10	2166	25	16609	40
4896	10	11687	26	1062	41
19738	10	13350	26	11306	41
7394	10	14905	26	17717	41
15292	12	7307	26	12573	41
6734	12	11274	26	11800	41
15109	12	10152	26	16203	41
6677	12	18185	26	9957	41
18768	12	9608	26	4462	42
1653	12	11438	26	10922	42
18970	12	11867	26	412	42
13270	12	14084	27	2165	42
4253	13	12836	27	18840	42
16288	13	6528	27	18388	42
15990	13	7688	27	820	43
13415	13	13673	27	2528	43
3884	13	2797	28	17230	43
3812	13	12304	28	8421	44
4253	13	4577	28	3405	44
16288	13	1438	29	6685	44
15690	13	5836	29	3769	45
13415	13	7365	29	13069	45
3883	13	1852	29	5101	45
3812	13	3743	29	10265	45
18027	14	2548	30	14970	45
2389	14	625	30	6905	45
8725	14	9441	30	10388	45
1704	14	6605	30	2648	46
1067	14	10999	30	9492	46
19045	14	14000	30	6006	46
14061	14	14597	30	8264	46
4724	14	7036	30	7202	46
8901	15	10612	30	4654	47
953	15	2215	31	7263	47
5190	15	9525	31	13219	47
5139	15	4171	32	18784	48
4619	15	18714	32	4666	48
17121	15	1948	32	7022	48
7633	16	17895	32	11363	48
9314	16	835	32	15130	49
11772	16	767	32	19942	49
7715	16	2525	32	14092	49
676	16	15234	32	9705	49
4018	17	11098	32	19092	50
8324	17	6197	32	19069	50
2155	17	16864	33	141	50
17029	17	1792	33		

გაბათილებულ ბილეთების სერიები:

8032, 7274, 10530, 5367, 930
13430, 18457, 15889, 13332, 1549
15091, 19100, 2906, 15052, 542
15493, 2686, 3078, 14537, 1591
12496, 19027, 5017, 9143, 16409, 421
12819, 18060, 2627, 6261, 1310
13824, 17583, 1250 7127, 9574, 174
13610, 16898, 6999, 12852, 857
4392, 4748, 835, 14515, 13467, 1673
16396, 12376, 13376, 14201, 723
5797, 16863, 257, 17638, 18186, 1038
4354, 19096, 19711, 12577, 1512
3179, 5313, 3167, 4547, 12208, 81
10879, 7328, 8296, 6618, 7109, 1496
12800, 19575, 13699, 2936, 537
13426, 9281, 14807, 8263, 1390
10111, 8222, 13886, 18427, 5499 981
18715, 497, 11049, 17142, 1408
5870, 16884, 17105, 137, 368
13446, 5442, 17359, 8401, 664
12041, 13654, 7066, 11653, 1203
17109, 3240, 15677, 8029, 682
19822, 19567, 11240, 7601, 1632
6373, 8337, 18770, 16756, 1794
18426, 18363, 5973, 14671, 923
14438, 18150, 8652, 15681, 433
3274, 8094, 2821, 19197, 12234, 1851
8842, 11027, 14953, 7749, 1615
14455, 16892, 7824, 18802, 1252
18352, 7067, 10562, 14291, 42
7135, 6257, 1746, 10961, 18059, 265
5431, 13677, 2706, 6473.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარ

განცხადებანი

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის** **პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფ **რველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 წოლი შინაგან, ნერვებისა. სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშ ბიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკ სკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამ დებ სენით და სულით ავადმყოფებს სა კურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვი და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

სასტუმრო ავრორა

მიხეილის პროსპექტზე, ვარანცოვის ძეგლის ახლო, სახლი № 29. 1-ლ იანვრიდან გ იხსნა **რესტორანი** ახალის პატრონისაგან. სასტუმროსა და რესტორანთან მშვენიერი ბინეტებია. ბუფეტში არის ადგილობრივი და უცხოელი ღვინო. სამზარეულოს ზედამ დევლობს თვით სასტუმროს პატრონი შეფი-მზარეული.

სადილი ორი კერძი—40 კ., სამი კერძი—60 კ., ოთხი კერძი—80 კ.; თვიურად ფ დაკლებით. საჭმელი მზადდება ახალ კარაქით და ახალის პრავიზიით, როგორც ევროპ ლი, ისე ჩვენებური.

ყოველდღე ბლინები

სადილების და ვახშმის შეკვეთა შეიძლება **იაფად**

(3—3) პატივისცემით **შარაბიძე და ამხ.**

გამოვიდა და იყიდება ყველგან „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემული

საქართველოს კალენდარი

ვ. გუნიასი

რედაქცია ფ. გოგიჩაიშვილისა.

კალენდარში მოთავსებულია სრულიად ახლად შესწორებული და შევსებული შემდეგი განყოფ 1) საეკლესიო კალენდარი, 8) ცა და დედამიწა (ასტრონომიულ-გეოლოგიური ცნობები), 3) სახელ[illegible]მიმოხილვა, 4) კავკასია და საქართველო, 5) ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი, რკინის გზა და გემ მოსვლა, 6) იურიდიული ცნობები, 7) წონა, ზომა, საწყაო და სხ. 8) საოჯახო და საექიმო ცნო სალიტერატურო განყოფილება, 10) ვრცელი საადრესო კალენდარი.—კალენდარში დაბეჭდილია, შორის, შემდეგი წერილები: ა) სარწმუნოება საქართველოში, მ. ჯანაშვილისა, ბ) ცა და დედამიწ გ) სახელმწიფოთა მართვა-გამგეობის ფორმები, დ) საქართველოს მართვა-გამგეობა მე-19 საუკუნის ნახევარში, ე) ქართული მწერლობა, პ. უმიკაშვილისა, ვ) ენა და ერი, პ. სურგულაძისა და სხ.

კალენდარი დასურათებულია მრავალი სურათით, კალენდარი შეიცავს 800-მდე გვერდს. ფასი - მანეთი. (3—2)

ტელეფონი № 741 **დაარსების მიზანი** ტელეფონი № 74

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობისა

იყო და არის

მხოლოდ საუკეთესო საქონლით ივაჭროს და მცირე სარგებლით კმაყოფილ იქმნ ამხანაგობა სცდილობს ყველა საქონელი სატახტო ქალაქების ფასებში ჰყიდოს, ამი მყიდველთ ეთმობა 5—10 პროცენტი ტფილისის ფასებთან შედარებით. სწორედ ამ საზრებით, რომ საქონელი გაიიაფოს, ამხანაგობამ დაიქირავა მაღაზიები **არა გამოსა ადგილზე** კავკასიის მუზეუმის პირდაპირ, „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество Фармацевтовъ. ადრესი ტელეგრამისა: Тифли мацевтика. (0—28